

## პრესრელიზი

**„საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფი“ გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია UNIDO-ის პროექტში „ენერგოეფექტურობის ამაღლება“ ჩაერთო.**

გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია UNIDO-სა და საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში შემავალი კომპანიებს: „საქნახშირი - ჯი-აი-ჯი“, „საქინვესტი“ და „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანას“ შორის ხელი მოეწერა განზრახულობათა შესახებ ხელშეკრულებას. აღნიშნული კომპანიები ერთვებიან გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის სამრეწველო ენერგოეფექტურობის პროექტის მეორე კომპონენტის ენერჯის მართვის სისტემების კომპეტენციის ამაღლების და იმპლემენტაციის პროგრამაში EnMS CBI Programme. პროგრამაში მონაწილეობით საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი გამოხატავს მზაობას სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში შეიტანოს საკუთარი წვლილი გლობალური კლიმატის უარყოფითი გავლენის შემცირებაში. ამასთან, ენერგო მენეჯმენტის თანამედროვე საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვა უფრო ეფექტურს გახდის წარმოების პროცესს და საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს საშუალებას მისცემს დაზოგილი რესურსებით გააფართოვოს კაპიტალტევადი, მაგრამ ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შემოტანა საქართველოში. განაცხადა ხელმოწერის ცერემონიაზე საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფის გენერალურმა დირექტორმა ზურაბ გელენიძემ

საქართველოში გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის UNIDO EnMS CBI პროგრამა გრძელდება 12 თვის განმავლობაში და მოიცავს ტრენინგებსა და ენერგომენეჯმენტის სისტემის დანერგვას პროექტის პარტნიორ საწარმოებში. „პროგრამის მიზანია ენერგოეფექტურობის საუკეთესო ხელმისაწვდომი პრაქტიკისა და ტექნოლოგიების ფართო გავრცელება და ენერჯის მართვის სისტემების ინტეგრაცია სამრეწველო საწარმოების ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მნიშვნელოვანია წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. „-აღნიშნა პროგრამის ხელმძღვანელმა საქართველოში ნინო ლაზაშვილმა.

პროგრამის ფარგლებში შეიქმნება ორი შერჩეული ეროვნული ექსპერტისა და კომპანიის წარმომადგენლისგან შემდგარი გუნდი, რომელიც კონკრეტულ საწარმოსთან იმუშავებს. საერთო ჯამში, პროგრამა მოიცავს 4 ტრენინგ მოდულს (16 დღე), ამასთან, 30 - 35 დღე ასევე დაეთმობა უშუალოდ საწარმოებში მუშაობას ენერგომენეჯმენტის სისტემის დანერგვის მიზნით. მოსალოდნელია, რომ პარტნიორი საწარმოები კონკრეტულ შედეგებს პირველი 6 თვის



## პრესრელიზი

განმავლობაში მიიღებენ.

საქართველოში გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციამ UNIDO ენერგოეფექტურობის პროექტი 2016 წლის დეკემბერიდან დაიწყო. პროექტის მიზანია საქართველოში სათბურის აირების გაფრქვევის შემცირება საქართველოს სამრეწველო სექტორში ენერგო ეფექტურობის ამაღლების გზით. პროექტი დაფინანსებულია ავსტრიის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და წყლის რესურსების მართვის ფედერალური სამინისტროს მიერ, ხოლო საქართველოში პროექტის მთავარი პარტნიორები არიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. პროექტი დასრულდება 2019 წლის ნოემბერში იგეგმება.

4.12.2017

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.





## პრესრელიზი

---

**"Georgian Industrial Group" Ltd**  
Gazapkhuli str. 18, 0177, Tbilisi  
Tel.: +995 32 221 01 87  
Fax: +995 32 221 01 89  
[www.gig.ge](http://www.gig.ge)

გთხოვთ მოგვმართოთ:  
E-mail: [m\\_manjgaladze@gig.ge](mailto:m_manjgaladze@gig.ge)  
Mob: 995 577 77 03 06  
E-mail: [n\\_bandzeladze@gig.ge](mailto:n_bandzeladze@gig.ge)  
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით:   
Georgian Industrial Group Holding

